

ბუროალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურს

შპს „ძველი გვირაბი“-ს (ს/ნ 241564062)

დირექტორის გიორგი სამხარაულის (პ.ნ.45001010016)

მისამართი. ქ. ყვარელი. ი. ჭავჭავაძის III-ე ჩიხი. ბინა #6

ტელ: 577222793

ელ. ფოსტა: Samkharauligigi1@gmail.com

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თქვენი 2025 წლის 15 ოქტომბრის #151024 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „ძველი გვირაბის“ (ს/ნ 241564062) 2024 წლის ანგარიშგების ზომით კატეგორიაში დასაქმებულთა რაოდენობა შცდომით ნაჩვენებია 124 კაცი, ნაცვლად 38 კაცისა. დანარჩენი წარმოადგენს დროებით დაქირავებულ (სეზონურ) მუშებს. (იხილეთ შპს „ძველი გვირაბის“ (ს/ნ 241564062) rs.ge-ის განაცემთა ინფორმაცია. თან ერთვის დანართი 3 ფურცლად)

აღნიშნულიდან გამომდინარე საწარმო წარმოადგენს მე-3 კატეგორიის საწარმოს.

ასევე წარმოგიდგენთ 2024 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშს შესაძარისი პერიოდის ინფორმაციასთან ერთად.

პატივისცემით,

შპს „ძველი გვირაბის“ დირექტორი:

/გიორგი სამხარაული/

Giorgi
Samkharauli

Digitally signed by Giorgi
Samkharauli
Date: 2025.10.21 12:32:26 +04'00'

21.10.2025 წელი

შპს „ძველი გვირაბი“ (ს/ნ 241564062) 2024 წლის დასაქმებულთა შესახებ

განცემის ტიპი	პერი ოდი	სახელი გვარი	საიდენტიფიკაციო N	ძირითადი თანამშრომ ელი	ჯამი	თანაგარი	თებერვა ლი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბე რი	ოქტომბე რი	ნოემბე რი	დეკემბე რი	ჯამური დაქვითვა
ხელუპასი	2024	ნანა თაბატაძე	13001053445	V	1871.88	0	477.75	367.5	532.88	493.75	0	0	0	0	0	0	0	2250
ხელუპასი	2024	გიორგი მთიანამგელი	45001025412	V	2676.45	0	2131.5	2139	1470	2775	3000	2975	2623.95	3000	2325	2450	1875	5268.75
ხელუპასი	2024	გიორგი სამხარაული	45001010016	V	138769.9	19250	11250.2	20375.2	22087.5	5740	19507	5740	11480	5740	5740	5740	6120	27490.75
ხელუპასი	2024	მალაქა ბაღდაძე	37001018825	V	8262.69	0	625.97	626	625.98	638.75	638.75	638.75	638.75	1913.49	638.75	638.75	638.75	1627.03
ხელუპასი	2024	გიორგი თაყაიშვილი	45001007230	V	6125	625	500	375	375	500	375	375	500	500	1000	500	500	1225
მიმსახურების ანაზღაურება	2024	თინათინი გაჩაძე	20001040141		17750	0	0	6250	11500	0	0	0	0	0	0	0	0	3550
ხელუპასი	2024	გიორგი ასანამგელი	45001007538	V	2526	0	0	0	0	0	1250	0	1276	0	0	0	0	500.1
ხელუპასი	2024	ფანეკ ფილიპო	45001006968	V	6250	0	0	0	0	0	0	0	0	1375	0	0	0	269.5
ხელუპასი	2024	ზალოგი სპირიანი	45001000992		1375	0	0	0	0	0	0	0	0	1375	0	0	0	332.5
ხელუპასი	2024	თათარი მათიკიშვილი	45001009591		1662.5	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	50	250
ხელუპასი	2024	ბერუკაშვილი	45201037274		100	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	50
ხელუპასი	2024	ბერუკაშვილი	45001007538		1250	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	250
მიმსახურების ანაზღაურება	2024	კაზახია მირზაევ	25001015681	V	18750	0	0	0	0	0	0	0	18750	0	0	0	0	3750
ხელუპასი	2024	ნოდარი ფიქსიშვილი	45001030511	V	5970	125	490	365	490	500	500	500	500	500	1000	500	500	1176
ხელუპასი	2024	გისანა პეტრიაშვილი	45001001128	V	5970	0	490	490	490	500	500	500	500	500	1000	500	500	1194
ხელუპასი	2024	მალაქა მამაშვილი	13001003196	V	14377.84	0	1378.12	992.25	1433.25	1406.25	1237.5	1406	1293.22	1631.25	900	1518.8	1181.25	2833.29
ხელუპასი	2024	ოსკოპ სახარაული	45001009847	V	41389	350	0	2475	5712.5	10526.5	1500	1500	1500	1500	3000	6200	7125	8277.8
ხელუპასი	2024	გიორგი მინდიაშვილი	13001067488	V	3600	0	0	0	0	1275	1875	450	0	0	0	0	0	705.6
ხელუპასი	2024	ბერუკაშვილი	45001008061	V	5342.55	0	0	0	0	483.85	428.75	539	437.5	875	656.25	1266.3	656.25	1068.57
ხელუპასი	2024	გიორგი დავითაშვილი	45001026057	V	5250	0	0	0	0	0	0	0	0	0	1500	1950	1800	1035
ხელუპასი	2024	საბაძე ანდრონიკი	25001033816		31950	0	0	0	0	0	0	0	0	0	17956.25	0	0	3591.25
ხელუპასი	2024	ილია რუსუტაძე	25001006187		11906.25	0	0	0	0	0	0	0	0	0	11906.25	0	0	2381.25
ხელუპასი	2024	მედიკიშვილი	45001028183		1025	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	205
ხელუპასი	2024	გიორგი ჩხაიძე	45001033814		100	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	20
ხელუპასი	2024	ფანეკ ფილიპო	45001006968		100	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	20
ხელუპასი	2024	ბაღდაძე	37001018825		100	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	20
მიმსახურების ანაზღაურება	2024	მარიამ ქუჩიშვილი	20001036973		10000	0	0	10000	0	0	0	0	0	0	0	0	0	2000
ხელუპასი	2024	ზურაბ კუჩიშვილი	45001019807		275.62	0	275.62	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	55.13
ხელუპასი	2024	ია გიორგიაშვილი	08001019805	V	477.75	0	477.75	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	95.55
ხელუპასი	2024	ნინო სამხარაული	45001018386	V	81930.42	0	3376.1	3376.1	3376.1	3445	39143.5	3445	3445	8543.62	6890	3445	3445	16098.87
ხელუპასი	2024	ლევანი ათაბაგი	45001007362	V	3316.63	0	220.5	220.5	275.63	225	225	225	225	225	225	1250	1250	2940
ხელუპასი	2024	ბურთაძე გიორგიშვილი	45001020553	V	14925	0	1225	1225	1250	1250	1250	1250	1250	1250	2500	1625	1625	3503.5
ხელუპასი	2024	ალექსანდრე ჯიბაძე	45001027146	V	17777.5	0	1592.5	1592.5	1592.5	1625	1625	1625	1625	1625	1625	1625	1625	448.36
ხელუპასი	2024	ლია თათიშვილი	45001007818	V	2269.13	0	367.5	367.5	532.88	493.75	437.5	437.5	0	0	0	0	0	1900
ხელუპასი	2024	ქეთევან ბაიშვილი	25650005009		9500	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	20
ხელუპასი	2024	გიორგი სამხარაული	45001010016		100	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	20
ხელუპასი	2024	ნიკოლოზი ბერიშვილი	45001028839		100	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	20
ხელუპასი	2024	იოსებ კანდიაშვილი	31001025305		375	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	75
მიმსახურების ანაზღაურება	2024	მარიამ ზაქარაშვილი	20001061923		11250	0	0	11250	0	0	0	0	0	0	0	0	0	2250
ხელუპასი	2024	ანა იმედიშვილი	45001008673	V	17134.28	0	1378.12	1212.75	1212.75	1406.25	1068.75	1350	1461.91	2750	2456.25	1712.5	1125	3373.55
ხელუპასი	2024	იოსებ სამხარაული	45001009847		45780.75	0	5900	0	0	0	9800	6237.5	5850	11781.25	3012	0	0	9196.15

[illegible]

[illegible]

შპს აუდიტორული კომპანია „LDG“ (ს.კ. 441555078)

აუდიტორული (აუდიტური) ფირმის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-177304
ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. N2; ტელ: 595 554 607

№01-09/09/25

09 სექტემბერი 2025 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ძველი გვირაბი“-ს (ს.კ. 241564062) ხელმძღვანელობას

ფინანსური ანგარიშების შემოწმების დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ შევამოწმეთ შპს „ძველი გვირაბი“-ს (ს.კ. 241564062) ფინანსური ანგარიშება, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოგება-ზარალის და სხვა ჯამური შემოსავლების ანგარიშს, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშს და ანგარიშს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ. ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის შეჯამებას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშება სამართლიანად, ყველა არსებითი ასპექტით, უტყუარად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის ფინანსურ მაჩვენებლებს და ფულადი საშუალებების მოძრაობას ამ თარიღში დასრულებული წლისათვის საერთაშორისო ფინანსური ანგარიშების სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველები

აუდიტი ჩავატარეთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტების შესაბამისად ჩვენი პასუხისმგებლობები შემდგომში აღწერილია აუდიტის პასუხისმგებლობაში ჩვენი ანგარიშის განყოფილებაში ფინანსური მდგომარეობის აუდიტისათვის. ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებელნი ვართ ბუღალტრების საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს ეთიკის კოდექსის თანახმად პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA Code), და ჩვენ შევასრულეთ ჩვენი ეთიკური პასუხისმგებლობები ამ მოთხოვნების

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე, აგრეთვე შიდა კონტროლზე, როგორც მენეჯმენტი დაადგენს საჭიროდ, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსური ანგარიშების მომზადება, სადაც არ იქნება მატერიალური ცდომილება შეცდომის ან თაღლითობის გამო.

ფინანსური ანგარიშის მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე მისი ფუნქციონირების შეუწყვეტლად. თუ მენეჯმენტი მიზნად არ ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან არ წყვეტს ფუნქციონირებას, ან არ გააჩნია რაიმე შესაბამისი ალტერნატივა.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, როდესაც იგი არსებობს, ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიჩნეულია, როგორც არსებითი, თუ, ერთობლივად ან ცალ-ცალკე, მათგან გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რაც მიღებულია ამ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით.

ჩვენ აგრეთვე:

-ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიე დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, ვადგენთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკების საპასუხოდ და გავცემთ აუდიტის დასკვნას, რაც საკმარისია და შესაბამისია, იყოს ჩვენი მოსაზრების საფუძველი. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ-აღმოჩენის რისკი მაღალია, ვიდრე შეცდომის გამო წარმოშობილი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, სიყალბეს, მიზანმიმართულ გამოტოვებებს, მცდარ ინფორმაციას ან შიდა კონტროლის უკუგდებას.

-შიდა კონტროლის მიღება და გაცნობიერება, რომელიც აუდიტის შესაბამისია, რათა ჩამოყალიბდეს აუდიტის პროცედურები, რომლებიც შესაბამისია გარემოებებთან, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.

-გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობის და საბუღალტრო გაანგარიშების და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული მასთან დაკავშირებული აღმოჩენების გონივრულობის შეფასება.

-დასკვნის გაკეთება მენეჯმენტის მიერ ანგარიშგებისას ფუნქციონირების უწყვეტობის საფუძველის გამოყენების შესაბამისობის შესახებ და, მიღებული აუდიტის მტკიცებულებების საფუძველზე, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა ამ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის უნარის შესახებ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა, ჩვენს აუდიტის დასკვნაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ფინანსურ ანგარიშებში მოცემულ მასთან გამოვლინებებს, ან, თუ აღნიშნული გამოვლინებები არის არადეკვატური, შევასწოროთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა.

ჩვენ დავუკავშირდით მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დადგენილი ფარგლების და დროის განრიგის და აუდიტის მნიშვნელოვანი დასკვნების შესახებ, შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლებობის ჩათვლით, რაც ჩვენ აუდიტის განმავლობაში აღმოვაჩინეთ. მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ჩვენ აგრეთვე მივაწოდეთ განცხადება, რომ ვიცავთ დამოუკიდებლობის შესახებ ეთიკის მოთხოვნებს და ვაცნობეთ ყველა კავშირის და სხვა საკითხების შესახებ, რამაც შესაძლოა გონივრულად დაბლოკოს და კავშირი ჰქონდეს ჩვენს დამოუკიდებლობასთან.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

პატივისცემით:

შპს აუდიტორული კომპანია „LDG“-ს

დირექტორის სახელით: გარიგების პარტნიორი ი. ტურაშვილი; 45001003069/



შპს „ძველი გვირაბი“

(ს.კ. 241564062)

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალის ცვლილების ანგარიში	7
ფულადი ნაკადების ანგარიში	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9
1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძვლები	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	13
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	17
5. ფასს-ებზე გადასვლის განმარტება	20
6. ფიქსირებული აქტივები	23
7. ფული და ფულის ექვივალენტები	24
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
9. მარაგები	24
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25
11. გადასახდელი გადასახადები	25
12. შემოსავალი	26
13. პირდაპირი ხარჯები	26
14. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა	27
15 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	30

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

შპს „ძველი გვირაბი“ (ს.კ. 241564062)

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ივარაუდება, რომ ორგანიზაცია გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

- ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2025 წლის 03 სექტემბერი.

მენეჯმენტის სახელით:

ხელმძღვანელი

გიორგი სამხარაული

03 სექტემბერი 2025 წელი.

ყვარელი, საქართველო

Giorgi

Samkharauli

Digitally signed by

Giorgi Samkharauli

Date: 2025.10.21

12:33:41 +04'00'

შპს „ძველი გვირაბი“ (ს.კ.241564062)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2024
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	7	10,218	1,746
სავაჭრო მოთხოვნები	8	807,554	569,990
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	1,697,752	2,226,907
ჯამურად მიმდინარე აქტივები		2,515,524	2,798,643
ფიქსირებული აქტივები	6	8,496,129	8,771,502
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		8,496,129	8,771,502
სულ აქტივები		11,011,653	11,570,145
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	10	689,109	732,202
გადასახდელი გადასახადები	11	0	111,878
მოკლევადიანი სესხი			0
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		689,109	844,080
სულ ვალდებულებები		689,109	844,080
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		12,681,726	14,026,726
გაუნაწილებელი მოგება		(2,357,816)	(3,300,661)
სხვა კაპიტალი და რეზერვები		(1366)	
სულ კაპიტალი		10,322,544	10,726,065
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,011,653	11,570,145

ხელმძღვანელი

გიორგი სამხარაული

03 სექტემბერი 2025 წელი

ყვარელი, საქართველო

Giorgi

Samkharauli

Digitally signed by
Giorgi Samkharauli

Date: 2025.10.21
12:34:21 +04'00'

შპს „ძველი გვირაბი“ (ს.კ. 241564062)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2023 წ	2024 წ
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	1,394,481	1,479,698
სხვა არასამეწარმეო შემოსავალი			109
სულ შემოსავალი		1,394,481	1,479,807
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		1,135,271	1,344,263
სულ თვითღირებულების ხარჯები		1,135,271	1,344,263
მთლიანი მოგება		259,210	135,544
საოპერაციო ხარჯები	13	798,984	767,293
ცვეთის ხარჯი		417,748	309,730
სულ საოპერაციო ხარჯები		1,216,732	1,077,023
არასაოპერაციო მოგება		0	
არასაოპერაციო ზარალი		(957,522)	(941,479)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(957,522)	(941,479)
მოგება დაბეგვრამდე		(957,522)	(941,479)
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება			

ხელმძღვანელი

გიორგი სამხარაული

03 სექტემბერი 2025 წელი

ყვარელი, საქართველო

Digitally signed by
Giorgi Samkharauli
Date: 2025.10.21
12:35:00 +04'00'

შპს „ძველი გვირაბი“ (ს.კ. 241564062)

კაპიტალის ცვლილების ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწყესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამურად
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,681,726	-2,359,182	10,322,544
კაპიტალის სხვა ცვლილება პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	1,345,000	-941,479	1,345,000 -941,479
სხვა რეზერვები			
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14,026,726	-3,300,661	10,726,065

ხელმძღვანელი

გიორგი სამხარაული

03 სექტემბერი 2025 წელი

ყვარელი, საქართველო

Giorgi

Samkharauli

Digitally signed by
Giorgi Samkharauli
Date: 2025.10.21
12:35:52 +04'00'

შპს „ძველი გვირაბი“ (ს.კ. 241564062)

ფულადი ნაკადების ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	12/31/2024	12/31/2023
მოგება დაბეგრვამდე	-941,479	-957,522
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	555,595	417,748
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	-385,884	-539,774
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	237,564	-409,517
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	-529,155	-202,101
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	43,093	-250,960
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	111,878	0
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-136,620	-862,578
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	-830,968	-1,045,707
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(830,968)	(1,045,704)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საკუთარი კაპიტალის ცვლილებები	1,345,000	2,449,500
დივიდენდის გაცემა		
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1,345,000	2,449,500
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	-8,472	1,444
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	10,218	8,774
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,746	10,218

ხელმძღვანელი

გიორგი სამხარაული

03 სექტემბერი 2025 წელი

ყვარელი, საქართველო

Giorgi
Samkharauli

Digitally signed by Giorgi
Samkharauli

Date: 2025.10.21 12:36:53
+04'00'

შპს „ძველი გვირაბი“ (ს.კ. 241564062)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ძველი გვირაბი“ (შემდგომში - „საზოგადოება“) დაფუძნდა 2000 წლის 7 მარტს. საიდენტიფიკაციო კოდი: 241564062 იურიდიული მისამართი: საქართველო, ყვარელი, ჭავჭავაძის № 42 .

შპს „ძველი გვირაბი“ (შემდგომში - „საზოგადოება“) ძირითად საქმიანობად განისაზღვრა:

- ყურძნის მოყვანა;
- სპირტიანი სასმელების დისტირილება რექტიფიცირება და შერევა;
- ღვინის წარმოება ყურძნისგან;
- საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლიანი სასმელებით;
- საწარმოს უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც არ არის აქრძალული მოქმედი კანონმდებლობით, არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო და სადამფუძნებლო ინტერესებს.

საზოგადოების 100 % ფლობს ფიზიკური პირი თამილა ბურკიაშვილი (პნ 45001008281).

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე

დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით. მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, განაახლა საპროგნოზო მონაცემები და საქმიანობის უწყვეტობაზე მსჯელობისას გაითვალისწინა მისი ეფექტი მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. როგორც მე-11 (სავაჭრო და სხვა ვალდებულებები) შენიშვნაშია მოცემული, მნიშვნელოვან მომხმარებლებთან კონტრაქტები არის მოკლევადიანი და განახლებადი თვითრად.

ცვლილებები სააღივზო პოლიტიკაში

ა) 2016 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2016 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არის ძალაში შესული და კომპანიას არ დაუნერგავს ნაადრევად ექნებათ ან შეიძლება ჰქონდეთ გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ეს სტანდარტებია:

- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.
- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით,

რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოღდა შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვარს.

ფასს 15-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალდებულო ინსტრუმენტები, რომლებსაც

პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისაა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოადგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ინსტრუმენტების სახეობათა რიგს, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობად, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვარს. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ჯერ კიდევ ფასდება ახალი სტანდარტების, ფასს 15-შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან და ფასს 9-ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა, რადგან მათ შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან გასაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადებით კლასიფიცირებულია, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი

ინვესტიციები მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მისი დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და შესაძლებლობა. კომპანიას არ გააჩნია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შეძენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის. რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. გაყიდვისას სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსავალი ან ზარალი რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის

გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

(დ) ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება ფასდება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. კაპიტალიზდება მნიშვნელოვანი ნაწილების გამოცვლის ხარჯები, ხოლო გამოცვლილი ნაწილის ღირებულებები ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში. წინა პერიოდებში ძირითადი საშუალებების გაუფასურებით მიღებული ზარალი გადაიხდება თუ შეიცვლა ვარაუდები, რომელიც გამოყენებულ იქნა ძირითადი საშუალებების გამოყენებადი ღირებულების ან რეალურ ღირებულებას გამოკლებული სარეალიზაციო ღირებულების განსასაზღვრად.

გაყიდვით გამოწვეული მოგება და დანაკარგი, რომლებიც განისაზღვრება საბალანსო ღირებულების სანაცვლო ღირებულებასთან შედარებით, აღიარდება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა გამოითვლება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთების გამოყენებით, ხარჯის განაწილებით სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში.

ჯგუფი	%
მანქანა-დანადგარები	20
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	20
არამატერიალური აქტივები	15

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი შეფასებისას ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად ნორმატიული დანაკარგების გათვალისწინებით. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

საკუთარი წარმოების პროდუქციის შემთხვევაში თვითღირებულებაში, ნედლეულის გარდა შედის სახელფასო ხარჯი, ელექტროენერგიის ხარჯი და სხვა ისეთი ზედნადები ხარჯები რისი გაწევაც აუცილებელია პროდუქციის დასამზადებლად.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ექვივალენტებში.

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში:

- 1) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI);
- 2) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და
- 3) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი და გაითვალისწინება წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (SPPI). თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, შესაძლებელია მისი ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და არის ისეთი პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც კომპანია ფლობს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის, ისე გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში. კომპანია სავალო ინვესტიციებს კლასიფიკაციას უცვლის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

კაპიტალი & დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

დაბეგვრა

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღირიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. განხორციელებული მომსახურების შესაბამისად, როგორც საოპერაციო შემოსავალი .

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

საოპერაციო იჯარა

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

იჯარის ვადა არის მოიჯარის მიერ იჯარით აღებული აქტივით სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის მონაკვეთი, რომელიც არ ექვემდებარება შეცვლას ან გაუქმებას, იმ დამატებითი დროის მონაკვეთთან ერთად, რომლის განმავლობაში მოიჯარეს, ხელშეკრულების თანახმად უფლება აქვს გააგრძელოს აქტივის გამოყენება გარკვეული დამატებითი თანხის გადახდის ან გადაუხდელობის პირობით.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2022 -2023 წლის 31 არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

		აშშ დოლარი		ევრო
გაცვლითი კურსი	2023	წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2,9753
გაცვლითი კურსი	2024	წლის 31 დეკემბრისთვის	2,8068	2,9306

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ

ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
 - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
 - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურსარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ

ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

5. ფასს-ებზე გადასვლის განმარტება

როგორც მე-2 შენიშვნაშია ნათქვამი, ეს კომპანიისთვის არის მესამე წელი, როცა ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ების მოთხოვნების შესაბამისად.

მე-3 შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები გამოყენებულ იქნა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად, ასევე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესადარისი ფინანსური ინფორმაციისთვის და 2023 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით არსებული საწყისი ნაშთებისთვის.

ფასს-ების მიხედვით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას არ დაუკორექტირებია არაფერი. იქიდან გამომდინარე, რომ ფასს-ებზე გადასვლა არ ახდენს გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ გაკეთებულა რეკონსილაცია.

6. ფიქსირებული აქტივები

	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მიწა	ვენახის კაპიტალური აქტივი	შენობა-ნაგებობი	მრავალწლიანი ნარგავები	ჯამურად
საწყისი ღირებულება								
ბალანსი 31/12/2023	2912249	112912	78751	2972144	177650	4095634	322850	10672190
დანამატები	254	40399	12496	312425	45574	335452	84368	830968
აქტივების ჩამოწერა								
ბალანსი 31/12/2024	2912503	153311	91247	3284569	223224	4431086	407218	11503158
აკუმულირებული ცვეთა								
ბალანსი 31/12/2023	1514873	59979	43462	0	76330	386379	95039	2176061
ცვეთა პერიოდისათვის	243423	16568	9060	0	26341	236505	23698	555595
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა								
ბალანსი 31/12/2024	1758295	76547	52522	0	102671	622884	118737	2731656
წმინდა ღირებულება								
ბალანსი 31/12/2023	1397377	52933	35289	2972144	101320	3709255	227811	8496129
ბალანსი 31/12/2024	1154208	76764	38725	3284569	120553	3808202	288481	8771502

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2023-2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	12/31/2024	12/31/2023
ლარები საბანკო ანგარიშებზე	1,746	10,218
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	1,746	10,218
ნაღდი ფული საღაროში ლარებში	0	0
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	1,746	10,218

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023-2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

	12/31/2024	12/31/2023
მყიდველები	569,990	807,554
მოთხოვნები პერსონალის მიმართ		0
გადახდილი ავანსები(ბიუჯეტი)		0
მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები	569,990	807,554
<i>მინუს:გაუფასურების რეზერვი</i>		
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	569,990	807,554

9. მარაგები

მარაგები 2023-2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

	12/31/2024	12/31/2023
მასალა და ნედლეული	2,226,907	1,697,752
საწვავი		
ჯამურად სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2,226,907	1,697,752

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023-2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	12/31/2024	12/31/2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	500,537	689,109
მიღებული ავანსები	191,882	0
გადასახდელი ხელფასი	39,783	-
სულ კრედიტორული დავალიანება	732,202	689,109

11. გადასახდელი გადასახადები

გადასახდელი გადასახადები 2023-2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	12/31/2024	12/31/2023
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	10,247	-
გადასახდელი დღგ	-	-
იმპორტის გადასახადის ვალდებულება	-	-
ლიცენზიის გადასახადის ვალდებულება	-	-
ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ერთიანი ანგარიში	101,631	-
სულ გადასახდელი გადასახადები	111,878	0

12. შემოსავალი

შემოსავალი 2024 წლისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2024
შემოსავალი საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან	500,504
მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	600,745
იჯარა- რეალიზაცია	0
სხვა	378,449
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	

სულ შემოსავალი	1,479,698
----------------	-----------

13. პირდაპირი ხარჯები

პირდაპირი ხარჯები 2024 წლისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2024
შრომის ანაზღაურება	473,327
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	59,686
სხვა საერთო ხარჯები	24,127
საწვავის ჩამოწერა	0
საქველმოქმედო -ფინანსური დახმარება	0
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	210,153
სულ პირდაპირი ხარჯები	767,293

14. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:

- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

ფინანსური აქტივები	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	569,990	807,554
ფული და ფულადი ექვივალენტები	1,746	10,218
სულ ფინანსური აქტივები	571,736	817,772

ფინანსური ვალდებულებები	12/31/2024	12/31/2023
სესხები		-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	732,202	689,109
საბიუჯეტო ვალდებულებები	111,878	
სულ ფინანსური ვალდებულებები	844,080	689,109

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშობება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საკრედიტო რისკი		
ფინანსური აქტივები	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	569,990	807,554
ფული და ფულადი ექვივალენტები	1,746	10,218
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	571,736	817,772

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის კომპანიაზე არ მოახდენს გავლენას ვინაიდან არ ხორციელდება სავალუტო ოპერაციები.

15 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.